პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 21 აგვისტო, 1942 წ. № 197 (6513). ფასი 15 კაპ.

წითელი არმიის მებრძოლო, გახსოვდეს: მტერი ჩვენი ქვეყნის სიღრმეში შემოიჭრა. მას დაღუპვა მოაქვს შენთვის, შენი ოჯახისა და შენი ხალხისათვის.

არც ერთი ნაბიჯი უკან! გზა გადაუღობე მტერს! ულმობლად უმუსრე გერმანელ დამპყრობთ!

გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

„პრავდა“

ბრძოლების სამი თვე

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე განუწყვეტელი ბრძოლები სწარმოებს. მტერი გაავთრებით მოისწრაფვის წინ. მას უდიდესი ზარალი მოსდის, მაგრამ ამას ანგარიშს არ უწევს და ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს წინ წამოიწიოს სამხრეთში.

ეს ის შეტევაა, რასაც ჰიტლერი ზამთარში დაჰპირდა გერმანიას, ის შეტევაა, რაზედაც გერმანელ ფაშისტთა პრესა მთელი ზამთრისა და გაზაფხულის განმავლობაში ლაყბობდა და „გადამწყვეტ“ შეტევას უწოდებდა. ჰიტლერელებმა მთელი მსოფლიო გააყრუეს, რომ მზადდება შეტევა, რომელიც თავისი მასშტაბით შარშანდელ შეტევას გადააჭარბებსო, რომ იგი უმოკლეს ვადაში მოსპობს წითელ არმიას და საბჭოთა ხალხის წინააღმდეგობას გასტეხსო.

შარშან ჰიტლერულმა გერმანიამ უდიდესი ძალები დაგვატეხა თავს. იგი ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო ცენტრებისაკენ მოისწრაფოდა. მაგრამ წითელმა არმიამ შეუპოვარ ბრძოლებში თავისი უმაგალითო სიმტკიცით ჩაშალა ჰიტლერის გეგმები. მან მოჰქანცა, არაქათი გამოაცალა გერმანიის არმიას, შეაჩერა იგი, აიძულა თავდაცვაზე გადასულიყო, თვითონ გადავიდა შეტევაზე.

ამხანაგი სტალინი მაშინ გვაფრთხილებდა: „მაგრამ შეუწყნარებელი სიბეცე იქნებოდა—მიღწეული წარმატებებით დავმშვიდებულიყავით და გვეფიქრა, რომ გერმანიის ჯარებს უკვე ბოლო აქვთ მოღებული. ეს საბჭოთა ადამიანების შეუფერებელი ფუჭი ბაქიობა და ამპარტავნობა იქნებოდა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ წინ კიდევ ბევრი სიძნელე მოგველის. მტერი დამარცხებას განიცდის, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის განადგურებული და—მით უფრო —მთლად მოსპობილი. მტერი ჯერ კიდევ ძლიერია. იგი უკანასკნელ ძალებს დაძაბავს, რათა წარმატებას მიაღწიოს“.

ზამთრისა და გაზაფხულის განმავლობაში მტერი აგროვებდა ამ ძალებს. გერმანიის არმიისათვის მიყენებული ზარალი იმდენად დიდი იყო, რომ თავისი საკუთარი ძალებით ჰიტლერული გერმანია ვერ შესძლებდა ახალი დიდი შეტევის დაწყებას. როგორც საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ გვაცნობა, გერმანიის სარდლობამ მთელი თავისი რეზერვები მოაყარა. მან პირწმინდად მოხვეტა ბევრი გარნიზონი საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში. და მაინც გერმანიის არმიამ ვერ გაბედა მარტო შეხვედროდა წითელ არმიას პირისპირ.

ჰიტლერმა ვასალურ ქვეყნებში 70-მდე დივიზიისა და ბრიგადის მობილიზაცია მოახდინა, თუ არ ჩავთვლით ფინეთის ჯარებს ჩრდილოეთში. მან „მოხალისეთა“ სახით თავი მოუყარა სისხლის სამართლის ელემენტებისა და გამორჩომის მოყვარულებისაგან შემდგარ ნაყარ-ნუყარ ხალხს. მან იძულებითი მობილიზაციით გაიწვია ჯარში პოლონელები და ჩეხები.

ჰიტლერმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე თავი მოუყარა ყველაფერს, რაც კი შეეძლო. ეგვიპტეში რომმელის შეტევა შეჩერდა, რადგან მთელი რეზერვები აღმოსავლეთშია გადმოყვანილი. გერმანიის ავიაციის მთელი რეზერვებიც აღმოსავლეთშია გადმოყვანილი.

ჰიტლერელთა უზარმაზარი ურდოები მოაყარეს ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილს. გერმანელებმა ადამიანთა და ტექნიკის მნიშვნელოვანი რიცხვობრივი სიჭარბე შექმნეს და სერიოზულად შეავიწროეს ჩვენი ჯარები. მათ ხელთ იგდეს საბჭოთა მიწა-წყლის ფართო სივრცეები და მრეწველობის მხრივ მნიშვნელოვანი ქალაქები.

გერმანელები შეტევას განაგრძობენ სამხრეთში. მაგრამ ბრძოლების სამი თვის შედეგები გვიჩვენებს, რომ ეს შეტევა შეიძლება შეჩერებულ იქნას და კიდევაც უნდა იქნას შეჩერებული.

გერმანელთა დროებითი წარმატებანი, რაც უნდა დიდად აზვიადებდეს მათ გერმანელ ფაშისტთა პროპაგანდა, ვერ ფარავენ იმ ფაქტს, რომ გერმანიის არმია წელს უკვე ის აღარ არის, რაც შარშან იყო. სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის ერთი წლის განმავლობაში იგი გაცილებით უფრო სუსტი გახდა.

შარშან ჰიტლერელთა არმიები, რომლებიც თავიანთი შემადგენლობით თითქმის მთლიანად გერმანული იყვნენ, შეტევას აწარმოებდნენ მთელს უზარმაზარ ფრონტზე, ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე. წითელი არმია ყველგან იძულებული იყო უკან დაეხია ბრძოლებით. ახლა ჰიტლერელები მარტო ვორონეჟისა და სამხრეთის მიმართულებით გვიტევენ, მაგრამ აქაც მათი შეტევა ან შეჩერდა, როგორც ვორონეჟთან, ან შენელდა, როგორც დონის მოსახვევში. და მხოლოდ სამხრეთში გერმანელები ახერხებენ წინ წამოწევას უდიდესი ზარალის ფასად.

მთელ ფრონტზე ბარენცის ზღვიდან ვორონეჟამდე გერმანელებს ძალა არ შესწევთ შეტევითი ოპერაციები აწარმოონ. მთელ რიგ ფრონტებზე წითელი არმია აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწევა. იგი ყველგან სპობს გერმანელთა ცოცხალ ძალასა და ტექნიკას.

სამი თვის განმავლობაში, 15 მაისიდან 15 აგვისტომდე, გერმანელებმა 1.250.000 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს, აქედან მოკლულთა სახით სულ ცოტა 480.000 კაცი. მათ დაჰკარგეს 3.390 ტანკი, 4.000-მდე ქვემეხი ყველა ყალიბისა და სულ ცოტა 4.000 თვითმფრინავი.

ზაფხული მიიწურა, გერმანელები კი ჯერ მალიან დაშორებული არიან თავიანთი ძირითადი ამოცანების მიღწევას. ჰიტლერმა კვლავ მოატყუა გერმანელები. ყვირილი წითელი არმიის მოსპობის შესახებ ფუჭი და სულელური ბაქიობაა. ჰიტლერი გულმოდგინედ უმალავს გერმანიასა და თავის ვასალებს წლევანდელ ზარალს. მაგრამ გერმანია და ვასალები მიხვედრილი არიან ამ ზარალს. მთლად სისხლისაგან დაცლილი ფინეთი ძალას ჰკარგავს იმ სისხლიანი ხარკის სიმძიმისაგან, რასაც იგი ჰიტლერს უხდის. ფინელთა ბედი ემუქრება რუმინელებსაც.

შარშან წითელმა არმიამ მოჰქანცა ჰიტლერის არმია, რომელიც უფრო ძლიერი იყო, უფრო მეტი რეზერვები ჰყავდა. მოქანცვა იყო მოსკოვთან გერმანელთა განადგურების მიზეზი.

წითელ არმიას შეუძლია ახლაც, მოჰქანცავს რა ჰიტლერელთა ურდოს შეუპოვარ ბრძოლებში, გამანადგურებელი დარტყმები აგემოს მას. ამას მოელის წითელი არმიისაგან მთელი ჩვენი ქვეყანა. ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს იმისა, რომ თავიდან ავაცილოთ ჩვენს ხალხს ამოწყვეტისა და დამონების საშინელი საფრთხე. საჭიროა სიმტკიცე. საჭიროა ყოველდღე და ყოველ საათს ვურტყათ მტერს. მას უკვე ძვირად დაუჯდა თავისი წინ წამოწევა. დაე კიდევ უფრო მეტი გადაიხადოს სისხლით! დაე თავისსავე სისხლში ჩაიხრჩოს ფაშისტური სიბილწე!

მტერმა საბჭოთა მიწა-წყლის დიდი სივრცეები წაგვართვა. საბჭოთა კავშირმა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი ნახა, ბრძოლის სიძნელეები გაიზარდა. მაგრამ, მტერმა გადამწყვეტ წარმატებას ვერ მიაღწია. მაშ დაე იგრძნონ ჰიტლერელებმა ჩვენი წინააღმდეგობის მთელი ძალა, დაე თვალუწვდენ სასაფლაოდ გადაიქცეს მათთვის ის სივრცეები, რომლებიც მათ ხელთ იგდეს თავიანთ გაუმაძღარი ყაჩაღობით!

გერმანელები ჩქარობენ. მათ წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო ირაზმებიან მთელი მსოფლიოს ხალხები. თავისუფლებისმოყვარე ხალხები თავიანთ საბრძოლო მოქმედებას აერთიანებენ ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ. ამხანაგ სტალინისა და ჩერჩილის მოლაპარაკება—ეს ჰიტლერული გერმანიის ახალი პოლიტიკური დამარცხებაა.

სისხლისმღვრელი ბრძოლები გრძელდება. მტერს ხელი არ აუღია თავის განზრახვებზე. იგი ჯერ კიდევ ძლიერია. მაგრამ იგი არც ისე ძლიერია, როგორც პანიკიორებსა და ლაჩრებს ჰგონიათ. მტერი თავხედია იქ, სადაც ჯეროვანი წინააღმდეგობა არ არის. მტერს ილაჯი უწყდება იქ, სადაც მას გასაქანს არ აძლევენ.

შარშან გერმანელთა დროებითი წარმატებანი მათი დამარცხებისა და განადგურების წყაროდ გადაიქცა. ჩვენ ამას წელსაც მივაღწევთ. მედგარი წინააღმდეგობით ძალა გამოვუცლიოთ მტერს, მოვამზადოთ ნიადაგი მისი მომავალი დამარცხებისათვის!

„პრავდის“ მოწინავე, 20/VIII.

თავდაცვის სახალხო კომისარიატში

წითელი არმიის პოლიტიკური შემადგენლობისათვის სამხედრო წოდებათა მინიჭების შესახებ

თავდაცვის სახალხო კომისარმა სამხედრო წოდებანი მიანიჭა:

წოდება კორპუსის კომისარი:

ალექსი ალექსანდრეს-ძე **კუზნეცოვს.**

წოდება დივიზიის კომისარი:

ნიკოლოზ ვასილის-ძე **აბრამოვს,**
რომან პავლეს-ძე **ბაბიიჩუკს,**
მიხეილ თევდორეს-ძე **დრებედნევს,**
ივანე ივანეს-ძე **ილიჩევს,**
ვასილ ემელიანეს-ძე **მაკაროვს,**
ვასილ ტიმოთეს-ძე **პისკლიუკოვს,**
ნიკოლოზ ვასილის-ძე **პუპიშევს,**
გიორგი პავლეს-ძე **რომანოვს,**
ვასილ ანდრიას-ძე **სიჩოვს,**
იოსებ ვასილის-ძე **შიკინს.**

ჩვენი ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ნაწილების უფროსთა და რიგითი შემადგენლობის დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან: ლენინის ორდენით — სანაპირო სამსახურის გენერალ-მაიორი გ. ს. ზაშიხინი და პ. ს. პოპკოვი; წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 13 კაცი; პირველი ხარისხის სამამულო ომის ორდენით — 3 კაცი; წითელი ვარსკვლავის ორდენით — 63 კაცი; მედლით „მამაცობისათვის“ — 23 კაცი; მედლით „სამხედრო დამსახურებისათვის“ — 43 კაცი.

სახელმწიფო სესხთა მოგების ორი ტირაჟი

20 აგვისტოს მოსკოვში შესდგა მესამე ხუთწლედის სესხის (პირველი წლის გამოშვება) მე-15 ტირაჟი და მესამე ხუთწლედის სესხის (მეორე წლის გამოშვება) მე-11 ტირაჟი

გათამაშებულია მესამე ხუთწლედის სესხის (პირველი წლის გამოშვება) 83.240.600 მანეთის 518.500 მოგება.

მესამე ხუთწლედის სესხისა (მეორე წლის გამოშვება) გათამაშებულია 108.380.400 მანეთის 680.800 მოგება. (საქტესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

20 აგვისტოს დილის ცნობა

19 აგვისტოს ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან კლეტსკაიას სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, კოტელნიკოვოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, აგრეთვე პიატიგორსკის რაიონში.

ფრონტის სხვა უბნებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

კლეტსკაიას რაიონში ჩვენმა ჯარებმა რამდენიმე კონტრიერიში მიიტანეს. ბრძოლების მსვლელობაში მოსპობილია გერმანელთა 7 ტანკი და განადგურებულია ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი. კლეტსკაიას სამხრეთ-აღმოსავლეთით გამოჭრილმა მტრის ნაწილებმა დონი გადმოლახეს, სადაც საბჭოთა ჯარების შეუპოვარ წინააღმდეგობას შეხვდნენ და მთლიანად მოსპობილ იქნენ. მარტო ერთ უბანზე მოსპობილია მტრის 18 ტანკი და 500-ზე მეტი ჰიტლერელი.

• • •

კოტელნიკოვოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა. ჩვენმა ქვეითებმა და ტანკისტებმა კონტრდარტყმა აგემეს შემოჭრილ გერმანელთა ჯარებს. დიდი ბრძოლაა რკინიგზის სადგურთან, რომელიც რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. ნ სატანკო ქვეგანაყოფმა მოსპო მოწინააღმდეგის 4 ტანკი, 7 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და გაჟლიტა 150-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

კრასნოდარის სამხრეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები დაძაბულ მოგერიებით ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის ტანკებისა და მოტოქვეითი ჯარის წინააღმდეგ. გერმანელებმა რამდენიმე გააფთრებული იერიში მოიტანეს და შეავიწროვეს ჩვენი ნაწილები. 6 ქვეგანაყოფის არტილერისტებმა დააზიანეს და …

… ზედ მტრის სამხედრო ეშელონი გადიოდა. მოსპობილია ორთქლმავალი და 8 ვაგონი. დაიღუპა სულ ცოტა 150 ჰიტლერელი. დაბრუნებისას პარტიზანები ჩასაფრებულ მტერს წააწყდნენ; გაჩაღებულ ბრძოლაში მოსპობილ იქნა კიდევ 20 ოკუპანტი.

• • •

გერმანიის 218-ე ქვეითი დივიზიის 323-ე პოლკის ტყვე ობერ-ეფრეიტორმა ჰანს შროდერმა განაცხადა: „გერმანიის სარდლობა გვატყუებს და გვიმალავს სიმართლეს იმის შესახებ, თუ რა ზარალი აქვთ გერმანიის ჯარებს აღმოსავლეთის ფრონტზე. ბრძოლების მონაწილე ყოველმა ჯარისკაცმა იცის, რომ ჩვენ უდიდესი ზარალი მოგვდიოდა და მოგვდის კიდევაც. რამდენიმე თვის წინათ უმაღლესმა სარდლობამ გამოაქვეყნა ციფრები იმის შესახებ, თუ რამდენი გერმანელი ჯარისკაცი იქნა მოკლული წლის განმავლობაში. არც ფრონტზე და არც ზურგში არც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს არა სჯერა ეს ციფრები. ჯარისკაცებში ამ საგანზე გაბოროტებული და გესლიანი დაცინვა გაისმის. ისინი ამბობენ: „გაიძვერა გებელსმა ძალიან უშნოდ იოხუნჯა, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ მთლად სულელები ვგონივართო“.

• • •

ვორონეჟის სამხრეთით მდებარე რაიონში მოქმედი ნ ნაწილის წითელარმიელთა და მეთაურთა ჯგუფმა შეადგინა აქტი გერმანელ ფაშისტ არამზადათა მხეცობის შესახებ, რასაც ისინი საბჭოთა სამხედრო ტყვეების მიმართ სჩადიან. აქტში ნათქვამია: „ჭალაში, რომელიც გერმანელებს წავართვით, აღმოვაჩინეთ და გამოვიცანით გერმანელების მიერ წამებული ჩვენი ორი მებრძოლის გვამი. წითელარმიელ მ. ჟ. ოგნევისათვის ჰიტლერელებს ცხვირი მოუჭრიათ, მარცხენა ხელის …

20 აგვისტოს საღამოს ცნობა

უ. ჩერჩილისა და ი. ბ. სტალინის მოლაპარაკებაზე გამოხმაურება ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში

ლონდონი, 19 აგვისტო (საქტესი). ინგლისის გაზეთები კვლავ მთავარ ყურადღებას უთმობენ მოლაპარაკებას დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ უ. ჩერჩილსა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინს შორის. ამ მოლაპარაკების შედეგებს გაზეთები უძღვნიან მოწინავე სტატიებს და თავიანთ დიპლომატიურ მიმომხილველთა ვრცელ კომენტარებს და თვალსაჩინო ადგილას ათავსებენ სტალინის, ჩერჩილისა და ჰარიმანის ფოტოგრაფიებს.

გაზეთი „დეილი ჰერალდი“ მოსკოვის მოლაპარაკებისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიაში მიესალმება ამ მოლაპარაკებას, როგორც მოკავშირე ქვეყნების სტრატეგიის გაერთიანებისაკენ გადადგმულ ნაბიჯს. გაზეთი აღნიშნავს, რომ „საჭიროა ყოველდღიურად გაგრძელდეს საქმიანობა ამ დარგში, აგრეთვე განვითარდეს და გაუმჯობესდეს მოკავშირეთა თანამშრომლობა“.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო მოსკოვის მოლაპარაკების შედეგების გამო ინგლისის პრესის კომენტარების თავის მიმოხილვას წინ უძღვარებს განცხადებას იმის შესახებ, რომ „ჩერჩილისა და ჰარიმანის მოსკოვს ჩასვლას ინგლისში მიესალმებიან როგორც მოკავშირეთა სტრატეგიის კოორდინაციის დარგში გადადგმულ დიდ ნაბიჯს“.

მოსკოვის მოლაპარაკებას ცენტრალური ადგილი უჭირავს რადიოკომენტატორების გამოსვლებში.

ნიუ-იორკი, 19 აგვისტო (საქტესი). ამერიკის გაზეთები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ იმ მოლაპარაკებას, რომელიც მოხდა მოსკოვში უ. ჩერჩილსა და ი. ბ. სტალინს შორის. გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას მოათავსეს მსხვილი სათაურებით კომუნიკე ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შესახებ. გაზეთები ვრცელ კომენტარებს უძღვნიან მოლაპარაკებას.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აცხადებს, რომ „მარტო დრო გვიჩვენებს, თუ რა გადაწყვეტილებანი იქნა მიღებული მოსკოვის მოლაპარაკების დროს. მაგრამ როგორიც უნდა იყოს ეს გადაწყვეტილებანი, ისინი იმის ახალ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენენ, რომ არსებობს მჭიდრო მეგობრული ურთიერთგაგება, რომელიც ახასიათებს საბჭოთა კავშირის მთავრობისა და ორი დიდი ანგლოსაქსური სახელმწიფოს ურთიერთობას“. გაზეთი აღნიშნავს, რომ მოლაპარაკების დროს ამერიკის ოფიციალური წარმომადგენლის დასწრება ცხადჰყოფს „ამერიკის შეერთებული შტატების სრულიად უცილობელ დაინტერესებულობას“.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ მოსკოვის მოლაპარაკებას აფასებს, როგორც ფრიად ხელსაყრელ მოვლენას. მოლაპარაკება,—აცხადებს გაზეთი,—„განამტკიცებს ნამდვილ რწმენას, რომ სამი დიდი მოკავშირე ქვეყნის ხელმძღვანელთ ერთმანეთისა ესმით, რომ ისინი შეთანხმებულ პოლიტიკას ეწევიან“. „სულ სხვაა,—სწერს გაზეთი,—მძიმე ბრძოლა ისეთ პირობებში, როცა არ იცი საით მიბრუნდე და როგორ მიაღწიო გამარჯვებას, და სულ სხვაა ბრძოლა თუნდაც უდიდეს დაბრკოლებათა წინააღმდეგ ისეთ ვითარებაში, როცა ნათელი სურათია იმისა, თუ როგორ შეიძლება მოგებულ იქნას და როგორ იქნება მოგებული ბრძოლა. ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ასეთი წარმოდგენა აქვს ამჟამად სამივე მოკავშირე ქვეყანას“.

გერმანელებს დიდი ზარალი მოსდით ტანკების მხრივ სამხრეთში

შვიდი მამაცი

ბრძოლები კოტელნიკოვოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

დროულად და მაღალხარისხოვნად ვკრიფოთ ჩაი, მტკიცედ დავიცვათ ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესი

გავაუმჯობესოთ ჩაის ფაბრიკების მუშაობა

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 31 ივლისის დადგენილების საფუძველზე „საქჩაის" დირექციის მიერ ჩაის ფაბრიკების ხელმძღვანელებს მიეცათ მთელი რიგი დავალებანი და მითითებები ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესების დარღვევათა დაჩქარებით გამოსწორებისა და გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ჩაის ფაბრიკის დირექტორმა მთავარ ტექნოლოგთან და აგრონომთან ერთად ყოველდღიურად უნდა უხელმძღვანელოს და შეამოწმოს ჩაის ფოთლის დამზადებისა და აღრიცხვის სისწორე რაოდენობისა და ხარისხების მიხედვით და როგორც დამახინჯების, ისე არანორმალური სხვაობის გამოვლინების შემთხვევაში მიიღოს სასწრაფო ზომები დამნაშავის პასუხისგებაში მისაცემად. კატეგორიულად აკრძალულია ჩაის ფოთლის არაწესიერი მოვლა-პატრონობა როგორც მიმღებ პუნქტებზე, ისე ფაბრიკებში, აკრძალულია სხვადასხვა დღის და სხვადასხვა ხარისხის ჩაის ფოთლის არევა ერთმანეთში და სხვ.

სავალდებულოდ არის შემოღებული ყოველი თვის პირველ და მეორე ნახევარში მიღებული ფოთლის ცალ-ცალკე აღრიცხვა და გადამუშავება.

ძვირფასი მოწყობილობის დაცვისა და წესიერი ექსპლოატაციისათვის ჩაის ფაბრიკების დირექტორებს და მთავარ ტექნოლოგებს დავალებული აქვთ ზუსტად, გრაფიკის მიხედვით აწარმოონ მანქანა-დანადგარების გეგმიანი გამაფრთხილებელი ხარისხოვანი შეკეთება. ჩაის მანქანების წესიერი ექსპლოატაციისათვის სრული პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს ფაბრიკის ტექნოლოგიურ პერსონალს.

ჩაის ფაბრიკებში ისე უნდა მოეწყოს მთელი მუშაობა, რომ გადაჭრით გაუმჯობესდეს ყველა დანადგარის როგორც მოვლა და დაცვა, ისე მათი ექსპლოატაცია, გაძლიერდეს ხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება და 1942 წლის ყველა დავალება შესრულდეს გადაჭარბებით.

გეგმებს გადამეტებით ასრულებენ

მახარაძის რაიონის შრომის ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი წარმატებით ანაღდებს სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას აღებულ ვალდებულებებს. ფაბრიკამ ივლისის გეგმა 119 პროცენტით შეასრულა. მზა პროდუქცია უნდა დაემზადებინა 25.000 კილოგრამი, ფაქტიურად დაამზადა 27.011 კილოგრამი. ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავების სამი თვის გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმა — 68,4 პროცენტით. ფაბრიკის მოწინავე ადამიანები ვ. სართანოვა, ლ. სოგოხინა, ფ. პრიტალიაკი, ნ. სართანოვა, ე. სადრაძე და სხვები ნორმებს 200-250 პროცენტით ასრულებენ.

ა. კოდიშაძე

ნაკისრ ვალდებულებებს ანაღდებენ

სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შედეგად ქარელის რაიონის ბებნისის სანერგე საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი მარო გალაშვილი) წარმატებით ასრულებს თავის ვალდებულებებს. მეურნეობამ 1942 წლის როგორც პირველი, ისე მეორე კვარტალის გეგმები წარმატებით შეასრულა — 10 ჰექტარზე გააშენა სხვადასხვა ჯიშის ხეხილის დასამყნელი საძირე, კარგად ... წელს 13 ჰექტარზე დაითესა სიმინდი და ბოსტნეული. მეურნეობა წელს სამტრესტის განრიგით სხვა საბჭოთა მეურნეობებს გადასცემს 20 ტონამდე სუფრის ჭარხალს, კომბოსტოს, ხახვს და პომიდორს. მეურნეობის სტახანოველი ხეჩო ანესიანი, რომელიც ახლახან დაწინაურებულ იქნა ბრიგადირად, დღიურ ნორმებს 200 პროცენტით ასრულებს. სტახანოვური მუშაობით თავი ისახელეს ...

მოწინავენი მოსავლის აღებაში

ჩაის კრეფის გეგმების წარმატებით შესრულება

შესრულდა მოსავლის კომბაინებით აღების გეგმა

პურის დამზადების გეგმის შესრულება

დაიწყო მზესუმზირის მოსავლის აღება

სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა ტრიბუნა

ერთდროულად ბურღვას 4 სანგრევში ვაწარმოებ

ვმუშაობ ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტის მე-4 უბანში მბურღავად. ჩვენზე, მბურღავებზე, ბევრი რამ არის დამოკიდებული. თუ კარგად და სწრაფად გაბურღავ, ქვანახშირსაც მეტს მოანგრევ, მაშასადამე, ფრონტსაც მეტ დახმარებას გაუწევ.

გასულ წელს სამი წლის საწარმოო პროგრამა შევასრულე. განსაკუთრებით თავდადებით ვიმუშავეთ მე და ჩემი ლავის ბრიგადებმა (სემენიხინის, მერზლიაკოვის და სხვ. ბრიგადებმა), გასული წლის მეორე ნახევარში ყოველდღე 2-3-4 ნორმას ვასრულებდით. წელს ვალდებულება ვიკისრე ბურღვის 4 წლის პროგრამა შევასრულო. ეს არის ჩემი ვალდებულება სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში უკვე შევასრულე 2 წლის ნორმა, და ახლა სისტემატურად ვიძლევი ნორმის 300 და მეტ პროცენტს, ხოლო ცალკეულ დღეებში—გაცილებით მეტსაც.

ჩემი მუშაობის მეთოდზე შემიძლია შემდეგი ვთქვა: წარმატება როგორც ყველგან, ისე ლავშიც დროის ზუსტად გამოყენებაზე, სამუშაოს მოწყობაზეა დამოკიდებული. მაგრამ განსაკუთრებით სწორედ ლავს უყვარს საათის მექანიზმივით აწყობილი მუშაობა. მე ერთდროულად ბურღვას 4 სანგრევში ვაწარმოებ. ყოველი მათგანი ბურღვის წინ გაწმენდილი უნდა იყოს ქვანახშირისაგან, რომ მუშაობის დროს უკეთ მოძრაობდე. ზოგიერთი მბურღავი კი სანგრევს გაწმენდას არ აცლის და პირდაპირ იწყებს ბურღვას. და მაშინ მუშაობის პირველი წუთებიდანვე უკვე იგრძნობა უხერხულობა მუშაობაში.

ვმუშაობ ოთხი ბურღით. პირველად ვბურღავ 60 სანტიმეტრის სიგრძის ბურღით, შემდეგ — 80-სანტიმეტრიანით, მესამედ — 110-სანტიმეტრიანით და სულ ბოლოს—150-სანტიმეტრიანი ბურღით. საჭიროა სანგრევის წინასწარ შესწავლა. როდესაც მას დღეს ბურღავ, უნდა იხსომებდე მის თავისებურებას ხვალისათვის. დიდი მნიშვნელობა აქვს შახტში ადრე მისვლას, რათა წინასწარ მოიმზადო სამუშაო. როდესაც ერთ სანგრევში მუშაობას შეუდგები, წინასწარ უნდა აფრთხილებდე შემდგომი გადასასვლელი სანგრევის მეშახტეებს იქ გადასვლის დროის შესახებ, რომ მათ სამუშაო ადგილის გაწმენდა მოასწრონ.

აი ის, რითაც ვაღწევ წარმატებას ბურღვაში, მაგრამ ეს წარმატება არ მაკმაყოფილებს. ჩვენ, მეშახტენი, მოვალენი ვართ კიდევ უფრო მეტი გავაკეთოთ და აუცილებლად გავაკეთებთ კიდეც, რათა დავეხმაროთ მშობლიურ წითელ არმიას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურებაში.

ვ. ვ. ზვერევიჩი
ტყვარჩელის შახტის მბურღავი, ორდენოსანი.

ოსტატი ბორის გავრილოვი

თბილისის საელმავლო დეპოს ოსტატი, კომუნისტი ამხ. ბორის გავრილოვი თავდადებით იბრძვის მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის. ... მეტს იძლევიან. ახალგაზრდა ზეინკლები ამხ. ვ. კაჩანი, ი. ტატანაშვილი და ელექტრომონტიორი ა. ძიგუა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმამდე საწარმოო გეგმებს ...

ილო მოსაშვილი

ყველას გვეძახის

დედა სამშობლო, დედა ალაგი
მიწა ხანძრებით ბევრჯერ დამწვარი,
ქართლის ველების რძე და ბალახი
და წინაპართა ძვლების ნაცარი, —
გვეძახის შვილებს, ყველას გვეძახის —
ამ ქვეყანაზე წმინდა რაც არი!

განა სამშობლო მიტომ გვქონია
შვილით-შვილამდე დასაფიცარი,
განა ბელადის უკვდავი გული
და მისი ხელი მარად მლვიძარი
მიტომ გვარწყვდა, რომ მტერს ლაჩრულად
ფეხქვეშ გავუგოთ გულისფიცარი!

არა, სიცოცხლე რა ოხრად გვინდა —
ძირს ეგდოს როგორც მონა, მკვდარსული,
რად გვინდა მიწა, კერა, სამშობლო,
შეგინებული და გაძარცული,
რომ მტრის მურდალმა ფეხმა გასთელოს
მისი აწმყო და მისი წარსული!

შვილმა დასწყევლოს მამა ორგული
და დედის მკერდმა შვილი ლაჩარი,
ვინც მტერს გაექცეს — შინ ვერ მიეიდეს,
უკან მისდევდეს ტყვია აშარი,
წინ გზას უკრავდეს შვილის ცრემლები
და მგლოვიარე დედის თავშალი!

დიდება ვაჟკაცს! გზა-სამარი
წინ გაჰფენოდეს იათ და ვარდათ,
სამშობლოსათვის, სტალინისათვის,
ჩვენმა ლამაზმა ქვეყანამ ზარდა,
სამშობლოსათვის კვდება და მაინც —
სხვა გზა არა სწამს სამშობლოს გარდა!

1942. 19_VIII.

პატრიოტი ახალგაზრდები მიისწრაფვიან სამხედრო სკოლებში

ქ. კიევის სამედიცინო ინსტიტუტის II კურსის ყოფილმა სტუდენტმა, ამჟამად თბილისის ერთ-ერთი ქარხნის მუშაკმა ნიკოლოზ სკაკუნმა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ შეიტანა ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო ... განცხადებაში, — საზიზღარმა ჰიტლერელებმა არ დამაცალეს ჩემს სამშობლოში ბედნიერად ცხოვრება და სწავლა. ისინი ახლა აწამებენ და აბუჩად იგდებენ ჩემს ოჯახს, რომელიც მათ ჩაუვარდა ხელში. მსურს შური ვიძიო საზიზღარ მტარვალებზე. ჩემი ოცნებაა გავხდე მფრინავი და ჰაერში ვანადგურო მტერი". სკაკუნის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

ყოველდღე შემოდის ამგვარი განცხადებები ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო კომისარიატში (სამხედრო კომისარი მაიორი გაბუნია). 16 წლის შოთა მათიაშვილმა და შალიკო ზარიძემ, რომლებსაც მხოლოდ ორი წლის შემდეგ უწევთ წითელ არმიაში გაწვევა, შეიტანეს განცხადებები სამხედრო სასწავლებელში გაგზავნის ... ველის, უასაკობის გამო უარი ეთქვათ.

სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი ანა ხაზიძე უკვე ყოფილა ფრონტზე სამედიცინო დად. ბრძოლის ველზე იგი დაიჭრა და განთავისუფლებულ იქნა სამხედრო სამსახურიდან. ამ დღეებში მან კვლავ შეიტანა განცხადება სამხედრო სასწავლებელში გაგზავნის შესახებ. ვინაიდან იგი სავსებით განკურნებულია, მისი თხოვნა დააკმაყოფილეს და გაგზავნეს სანინსტრუქტორთა კურსებზე.

კონსულტაცია

როგორ დავიცვათ თავი ცეცხლწამკიდი ავიაბომბებისაგან

თბილისში მთელმა რიგმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, სკოლებმა და საცხოვრებელმა სახლებმა ჩაატარეს საჭირო ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებანი. მომარაგებულია ქვიშა, წყლის კასრები, ვედროები, ნიჩბები, ცეცხლწამკიდი ბომბის ძალები მარწუხები, შელესილია სხვენების ადვილაალებადი გადასახურავები, სხვენები გაწმენდილია სხვადასხვა ძველი ნივთებისა და ნაგვისაგან, ეზოებში აღებულია ხის ყველა არასაჭირო ნაგებობა, რომელიც ხანძრის მხრივ საფრთხეს წარმოადგენდა. იქ, სადაც მოსახლეობა სრული შეგნებითა და პასუხისმგებლობით ეკიდება თავისი სადგომების დაცვას, ყველაფერი მზად არის საჰაერო განგაშის შემთხვევისათვის. კასრები მუდამ სავსეა წყლით, ყუთებში იყრება ახალ-ახალი ქვიშა, სახანძრო ინვენტარს არ იყენებენ სხვა საჭიროებისათვის, ხანძარსაწინააღმდეგო რგოლების ყველა წევრმა იცის თავისი ადგილი და მოვალეობა საჰაერო განგაშის დროს.

მაგრამ ცალკეულ საცხოვრებელ სახლებში სახლმმართველები და თვით მობინადრენი არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს. № 407, 468 და 417 სახლმმართველობებში შემავალი ზოგიერთი სახლი უზრუნველყოფილი არ არის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. № 395, 375 და 475 სახლმმართველობათა ცალკეულ სახლებში არარეგულარულად სწარმოებს თავდაცვის ჯგუფების ხანძარსაწინააღმდეგო რგოლების მეცადინეობა.

ყოველი საწარმოს და დაწესებულების ხელმძღვანელის, აგრეთვე საცხოვრებელი სახლების სახლმმართველების და კომენდანტების ვალია სრულ მზადყოფნაში და წესიერ მდგომარეობაში მოიყვანონ თავიანთი შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა, შეამოწმონ ინვენტარი, შეიძინონ ქვიშის საჭირო რაოდენობა, მოამარაგონ წყალი და სხვ.

ხანძარსაწინააღმდეგო რგოლებმა და სახანძრო სავუშაგოებმა სისტემატურად უნდა ჩაატარონ პრაქტიკული მეცადინეობა თეორიული ცოდნის განსამტკიცებლად და პრაქტიკული ჩვევების მისაღებად. სახლებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში ხშირად უნდა მოეწყოს ლექციები და საუბრები ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის თემებზე.

იქ, სადაც ეს მიზანშეწონილი და შესაძლებელია, კარგია ჩამოყალიბდეს მოხალისე ახალგაზრდობის ხანძარსაწინააღმდეგო ქვედანაყოფები, რომლებიც შექმნილი საფრთხის დროს დიდ დახმარებას გაუწევენ ქალაქის სახანძრო რაზმებს ხანძრების სწრაფ ლიკვიდაციაში.

მოსახლეობის მიერ გამოჩენილი სიფხიზლე, ორგანიზებულობა, სიმშვიდე და სიმტკიცე უმთავრეს პირობებს წარმოადგენენ იმისათვის, რომ სწრაფად ჩაქრობილ იქნას ფაშისტური ...



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ლენინგრადის საქალაქო სახანძრო რაზმი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.